საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლეკიშვილი ნიკო მიხეილის ძე

ნ. ლეკიშვილი

ლეკიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) მიხეილის ძე (დ. 20. IV. 1947, თბილისი), საქართველოს სახელმწიფო მინისტრი (1995–98). დაამთავრა სპი-ის ენერგეტიკის ფაკ-ტი (1970), მოსკ. საზ-ბის მართვის აკადემია (1989). 1972–90 მუშაობდა სხვადასხვა პარტ. თანამდებობაზე, მ. შ. კპ-ის თბილ. საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, თბილისის საქალაქო საბჭოს თავ-რედ (1988–90).

ლ. 1990–91 იყო საქართვ. რესპ. I მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი (საქართვ. საარჩევნო ბლოკიდან ერთიანი კომუნისტური პარტია), პრემიერ-მინისტრის მთ. სახელმწ. მრჩეველი (1992); საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე (1993); თბილისის მერი (1993–95); გადამხდელთა კავშირის თავ-რე (1998–2004); საქართვ. მე-3 (1992–95), მე-5 (1999–2004; საქართველოს მოქალაქეთა კავშირი) და მე-6 (2004–08) მოწვევის პარლამენტის წევრი.